



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 105
11/01/2018

ქალაქი ბათუმი

105-05-4-201801111115



სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე მდინარე აჭარისწყლის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ინერტული მასალის ამოღების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე საჯაროდ გამოცხადებისათვის კომისიის შექმნის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 09 სექტემბრის N05/5248 წერილით სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილების თანახმად ეთხოვა სოფელ ევგენიძეებში, მდინარე აჭარისწყლის კალაპოტში არსებული ჭარბი აკუმულაციური უბნებიდან ინერტული ნატანის ამოღების საკითხთან დაკავშირებით გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება, ხოლო აღნიშნული წერილის პასუხად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 09 ოქტომბრის N21/12021 კორექსონდენციით მოწოდებული იქნა გეოსაინფორმაციო პაკეტები და ა4 ფორმატის ტოპოგრაფიული რუკა.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილების მე-7⁴ ტერიტორიის დატბორვის საშიშროების არსებობისას, შესაბამისი მუნიციპალიტეტი სააგენტოს გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე, ინფორმაციას მდინარის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ჭარბი ინერტული მასალის ამოღების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე ავრცელებს საჯაროდ გამოცხადების და/ან ინფორმაციის სხვა ფორმით გავრცელების საშუალებით. ინტერესთა ვადის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტის განიხილავს შესულ განცხადებებს, შეარჩევს დაინტერესებულ პირს და შესაბამისი დასაბუთებული წინადადებით მიმართავს სამინისტროს, საქართველოს მთავრობასთან შუამდგომლობის თხოვნით, მდინარის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ჭარბი ინერტული მასალის ამოღებით დაინტერესებული პირის, გარკვეული ვადით, ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნული გარემოებების, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების უფროსის 2017 წლის 08 იანვრის №44-05 მოხსენებით ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე მდინარე აჭარისყალის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ინერტული მასალის ამოღების მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე საჯაროდ გამოცხადების და/ან ინფორმაციის სხვა ფორმით გავრცელების უზრუნველსაყოფად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) რეზო ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მირზა ბატაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დ) ნონა ქოქოლაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - კომისიის მდივანი;

ე) მერაბ გვიანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.”.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა